ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა 05/10/07

ბათუმი 04.04.2023 წელი

ერთის მხრივ სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიძინიძეების საჯარო სკოლა ,,'' (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა გოგიტიძის სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს დათანატა-2015 (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის როლანდ ქამადაძე სახით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის #59 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე: CPV . 31600000,4430000,

1. ხელშეკრულების საგანი

სკოლისათვის სანტექნიკის და ელექტრო საქონლის მასალების შეძენა მთელი წლით (შემდგომში – საქონელი) ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს მთელი წლით 225 (ორასოცდახუთი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 25 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს დირექტორი მანანა გოგიტიძე.

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია:ქ ბათუმი .

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება, 2023 წლის 4 აპრილიდან 2023წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2023 წლის 4 აპრილი და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის---ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ქიძინიძეების საჯარო სკოლა
მის: შუახევი, ქიძინიძეები
საიდენტიფიკაციო კოდი 247868231
ბანკი: ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა GE11LB0121171040989001/34080028
ტელ: 577 17 57 13

მანანა გოგიტიძე

დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს,, დათანატა
ს/კ 445488650
მის.: ქალაქ ბათუმი
ტელ.:555583340
საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი GE63TB7700933605010000 1

როლანდ კამადაძე
Roland Kamadadze

დირექტორი

Подписано цифровой подписью: Roland Kamadadze
Дата: 2023.04.04 17:05:39 +04'00'

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

04,04,2023 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“საქართველოს კანონს და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს # 13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლით დადგენილ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა. ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა, სოფ. ქიძინიძეების საჯარო სკოლასა და შპს დათანატა,, -ს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №05-10/07 (04,04,2023 წელი) ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ქიძინიძეების საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ: |მანანა გოგიტიძე

ქიძინიძეების საჯარო სკოლის მასწავლებელი: | |

ქიძინიძეების საჯარო სკოლის მასწავლებელი: | |

ქიძინიძეების საჯარო სკოლის

შესყიდვების კორდინატორი: |ვალიკო აბაშიძე|